eAuction.ge

რეგისტრაციის სახელმძღვანელო ელექტრონული აუქციონის მომხმარებლებისათვის

2023

რეგისტრაცია

Eauction.ge-ზე ყიდვა/გაყიდვის ოპერაციების შესასრულებლად საჭიროა, რომ მომხმარებელმა გაიაროს რეგისტრაცია:



რეგისტრაციის ეტაპები:

1. მთავარი გვერდის ზედა მარჯვენა კუთხეში დააჭირეთ ღილაკს „რეგისტრაცია“;

2. აირჩიეთ მომხმარებლის შესაბამისი ტიპი (ფიზიკური ან იურიდიული, რეზიდენტი ან არარეზიდენტი პირი).



1. შეიყვანეთ პირადობის მოწმობის პირადი ნომერი (11 ნიშნა);
2. სახელი და გვარი (აუცილებლად ქართულად);
3. დაბადების რიცხვი, თვე და წელი;
4. შეიყვანეთ თქვენთვის სასურველი მომხმარებლის სახელი (რის საშუალებითაც შემდგომ მოხდება ავტორიზაცია); მომხმარებლის სახელში დასაშვებია მხოლოდ ლათინური სიმბოლოები და ციფრები.
5. შეიყვანეთ პაროლი; პაროლი უნდა შეიცავდეს მინიმუმ 6 სიმბოლოს, ლათინური ასოებისა და ციფრების კომბინაციას;
6. აირჩიეთ ქალაქი და შეავსეთ თქვენი ფაქტიური ან იურიდიული მისამართი. (არარეზიდენტის შემთხვევაში მონიშნეთ ქვეყანა);
7. შეიყვანეთ თქვენი მოქმედი მობილური ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;
8. აუცილებლად გაეცანით ვებ გვერდის ვაჭრობის წესებსა და პირობებს, ასევე ლოტის განთავსების ვაჭრობის წესებსა და პირობებს და მონიშნეთ ღილაკები „ვეთანხმები“;
9. სურვილისამებრ მიუთითეთ გსურთ თუ არა სიახლეების ელ.

ფოსტაზე გამოწერა;

10. დააჭირეთ **რეგისტრაციას.**



შეტყობინების სახით გამოსულ ფანჯარაში გადაამოწმეთ თქვენს მიერ შევსებული პირადი ინფორმაცია უზუსტობის შემთხვევაში, დააჭირეთ ღილაკს „უკან პირად პარამეტრებში“, შეასწორეთ მონაცემები და ხელახლა დააჭირეთ რეგისტრაციის ღილაკს.

რეგისტრაციის პირველი ეტაპის წარმატებით გავლის შემდეგ, შეამოწმეთ თქვენ მიერ რეგისტრაციის დროს მითითებული ელ-ფოსტა, სადაც მიიღებთ აქტივაციის ბმულს, ამავდროულად, მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით მიიღებთ აქტივაციის კოდს თქვენს მიერ მითითებულ მობილურის ნომერზე. ელ-ფოსტიდან გადადით აქტივაციის ბმულზე, შეიყვანეთ მობილურ ტელეფონზე მოსული აქტივაციის კოდი და რეგისტრაციის დროს მითითებული პაროლი. კიდევ ერთხელ გადაამოწმეთ ინფორმაცია, გაეცანით თანხმობის ტექსტს და მონიშნეთ ღილაკი **„დიახ“** და გაიარეთ „აქტივაცია“.